





წმ. ოთანე ოქროპირი

თარგმანებად
მათეს სახარებისად

თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა

წიგნი |

გამომცემლობა „ბეთანია“
თბილისი
2014

ათონური ხელნაწერები:

№13 (თ. 1-18), №4 (თ. 19-45), №10 (თ. 46-90)

ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ლაპორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა:

მერაბ ბაბუხაძიამ
ლილი ბასილაიამ
ნინო დობორჯგინიძემ
დარეჯან თვალთვაძემ
თინათინ კარსანიძემ
მანანა მაჩხანელმა
ნინო შარაშენიძემ
ნანა შუღლაძემ
თამარ ცოფურაშვილმა
თინათინ ცქიტიშვილმა
მარინე ოდიკაძემ

რედაქტორი მზექალა შანიძე

მეორე გამოცემა

საავტორო უფლება დაცულია
© მზექალა შანიძე, 2014

ISBN 978-9941-0-7207-9 (ორივე წიგნის)
ISBN 978-9941-0-7208-6 (პირველი წიგნის)

ზინასისტყვაობა

მათეს თავის თარგმანება, რომლის ტექსტის პირველი ნაწილი ქვეყნდება წინამდებარე წიგნში, დაწერილია იოანე ოქროპირის მიერ (347-407 წ.). გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მქადაგებელი, რომელსაც მჭევრმეტყველებისათვის ქრიზოსტომი ანუ ოქროპირი შეარქვეს, ეკლესიამ ქრისტიანი მოძღვრის იდეალურ განსახიერებად მიიჩნია და წმინდანად აღიარა. იოანე ოქროპირის თხზულებები ქრისტიანული მწერლობის კლასიკურ ნიმუშებად ითვლება და შემდეგი დროის ავტორებისათვის მისაბად ნიმუშსა და პირველწყაროს წარმოადგენდა არა მარტო ქრისტიანულ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ოქროპირის მრავალი მიმბაძველი და გამგრძელებელი ჰყავდა; მათგან ზოგიერთი საკუთარ ნაწერსაც კი იოანესად აცხადებდა.

იოანე ოქროპირმა უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მის მრავალრიცხოვან თხზულებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეგზეგეტიკურ ნაშრომებს, რომლებშიც ავტორი საღმრთო წერილს განმარტავს. ისინი გამოირჩევა სადა, ნათელი და ადვილად მისაწვდომი თხრობით; ძნელად გასაგები ალეგორიული განმარტებები ოქროპირის თხზულებებში იშვიათია; ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმ დიდი პოპულარობისა, რომელიც მისმა ეგზეგეტიკურმა ნაშრომებმა იმთავითვე მოიპოვეს.

იოანეს თხზულებებში, რომელთაგან მრავალი ჰომილის ანუ ქადაგების სახითაა დაწერილი, დიდი ადგილი უკავია მსჯელობას ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი პრინციპების შესახებ; ოქროპირი ქადაგებდა ადამიანთა ურთიერთობის საფუძვლად ქრისტიანული საწყისების მიღებას, მსჯელობდა ოჯახის, ბავშვთა აღზრდის, ლოცვის, შრომის შესახებ; მოწნოდებდა ადამიანებს, ყოფილიყვნენ ღვთისმოსავნი, ქველისმოქმედნი, მოწყალენი და მშრომელნი. იგი არ ერიდებოდა მძაფრი კოლიზიების დახატვას თავის თხზულებებში, ამხილებდა ხარბ მდიდრებს, ებრძოდა წარმართობას, წარმართულ დღესასწაულებსა თუ სანახაობებს.

იოანე ოქროპირის შემოქმედებას საქართველოში ქრისტიანობის გავრელების ადრეულ პერიოდშივე იცნობდნენ. საკვარისია აღვნიშნოთ, რომ უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერში – 864 წელს გადაწერილ „სინურ მრავალთავში“ – შეტანილია მისი ოცდაორი თხზულება. მისი „ცხოვრება“, რომელიც გიორგი ალექსანდრიელს დაუწერია, ადრევე უთარგმნიათ ქართულად; მისი უძველესი ნუსხა გადაწერილია 968 წელს (იოანე ოქროპირის ცხოვრების ეს უძველესი ტექსტი გამოცემულია რ. გვარამიას მიერ 1986 წელს). არსებობს ოქროპირის ცხოვრების უფრო მოგვიანო მეტაფრასული ტექსტის ქართული თარგმანი (გამოსცა 1986 წელს ნ. გოგუაძემ).

„მათეს თავის თარგმანება“ დიდი მოცულობის თხზულებაა და იოანე ოქროპირის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს. მასში მიყოლებით განმარტებულია მათეს სახარების მთლიანი ტექსტი. იგი შედგება 90 თავისაგან. თითოეულ თავს მოსდევს განმარტებული ტექსტის შესაბამისი „სწავლა“. საკმარისია გადავხედოთ „სწავლათა“ დასათაურებას, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ მათი თემატური მრავალფეროვნება. იოანე ოქროპირი მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით ამხილებს წაყროვანებას (გაუმაძლრობას), მრისხანებას, ამპარტავნებას, შურს, ვეცხლისმოყუარებას (ანგარებას), ქადაგებს ქრისტიანულ ცხოვრებას: სათხოებას, ლოცვის აუცილებლობას, წმიდა წერილის სწავლას, ქრისტეს მცნებათა დაცვას. „სწავლანი“, რომლებიც თარგმანების ორგანულ წარმოადგენენ, ამავე დროს ცალ-ცალკე დამოუკიდებელი, დასრულებული წარმოებებია.

ბუნებრივია, რომ ოქროპირის ასეთმა მნიშვნელოვანმა თხზულებამ მიიქცია სახელგანთქმული მწიგნობრისა და მთარგმნელის, ეფთვიმი მთანმიდლის (გარდაიცვალა 1028 წ.), ყურადღება. საგულისხმოა ისიც, რომ იოანე ოქროპირის მეორე მსგავსი წარმოები – იოანეს თავის თარგმანება – იყო ეფთვიმის მიერ წარმომნი პირველი შრომა; სწორედ ამ თხზულებით დაუწყია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ეფთვიმის თავისი ხანგრძლივი და წაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მათეს თავის თარგმანება კი ეფთვიმის უთარგმნია 1002 წელს, როდესაც იგი უკვე დახელოვნებული და სახელგანთქმული მწიგნობარი ყოფილა. ამას გვამცნობს ეფთვიმის მამა, იოანე, რომელიც ასახელებს მიზეზს, თუ რატომ ადრევე არ უთარგმნია მის შვილს ეს წიგნი: „სიმრავლისათვეს შრომისა აქამომდე არა დაგვწერია, რამეთუ, ვითარცა ჰედავთ, დიდი წიგნი არს და ძნელ გამოსათარგმანებლად“. შემდეგ იგი განაგრძობს: „გარნა შენევნამან ღმრთისამან და მეოხებამან წმიდისა ღმრთისმშობელისამან... ყო განმარჯულებად, და აღესრულა დაუკლებელად წმიდა ესე წიგნი, რომელი უშუენიერეს არს ყოველთა წიგნთა, რამეთუ სავსე არს ყოვლითა მოძღურებითა საღმრთოთა და ყოვლითა სწავლითა სულიერითა, და არა არს იგი კეთილი საქმე, რომელი ამას შინა არა იპოების“. ეს ცნობები მოცემულია მის ცნობილ ანდერძში, რომელიც წინამდებარე წიგნშიც ქვეყნდება (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ არის მსჯელობა).

ეფთვიმი მთანმიდელმა, რომელიც ათონის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელია, სრულიად განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში. იგი არის არა მარტო მრავალი თხზულების მთარგმნელი სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგიდან, არამედ თავისი ლიტერატურული საქმიანობითაც სრულიად გამორჩეული: მისი სტილი არის ნათელი და სადა; ბერძნულ დედნებს იგი არასოდეს ბრმად, სიტყვა-სიტყვით არ მისდევს. მის თარგმანებში ქართული ენის ბუნებრივი წყობა

არსად დარღვეული არ არის, საჭიროების შემთხვევაში იგი ავრცობდა ან ამოკლებდა სათარგმნ ტექსტს იმისთვის, რომ მისი აზრი უკეთ გასაგები ყოფილიყო; მისი პიოგრაფი, გიორგი მთაწმიდელი, წერს ეფთვიმის შესახებ: „გამოჩენდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად“; მას „თარგმანებად წიგნთა აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა და გვრგვნად და განმანათლებელად ნათესავისა ჩუენისა“ (გიორგი მთაწმიდელი, ცხორებად იოვანესი და ეფთველი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. II თბ., 1967).

„მათეს თავის თარგმანება“ ძველადვე საკმაოდ კარგად ცნობილი თარგმანი ყოფილა; ამას მოწმობს იმ ხელნაწერთა სიმრავლე, რომლებშიც ეს თხზულება მოიპოვება. მარტო XI საუკუნის ხელნაწერები ათამდეა (მათ შორის არის ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერები 1047 და 1048 წლისა), ხოლო გვიანდელი (XII-XVIII სს.) ნუსხების რიცხვი ორ ათეულამდე აღნევს.

იოანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანების“ ყველაზე ადრეული ნუსხა, გადაწერილი თვით ეფთვიმის სიცოცხლეში, 1008 წელს, დაცულია ათონის მთაზე, მაგრამ 1981 წლამდე ათონური ხელნაწერები, თითო-ოროლას გამოკლებით, ხელმიუნვდომელი იყო. სწორედ ამ წელს ჩამოიტანა ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ ათონურ ხელნაწერთა მიკროფილმები; ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ათონურ ხელნაწერებზე მომუშავე ლაბორატორია „ორიონმა“, რომელიც უნივერსიტეტში შეიქმნა, უკვე გამოაქვეყნა 1993 წელს ეფთვიმი მთაწმიდლისეული თარგმანი იოანეს თავის თარგმანებისა ორ წიგნად.

„მათეს თავის თარგმანების“ ათონური ნუსხა იმთავითვე სამ წიგნად ყოფილა გადაწერილი (თანამედროვე ნუმერაციით №№13, 4 და 10). ტექსტი სრულია, მხოლოდ აქა-იქ აკლია თითო-ოროლა ფურცელი; ჩვენს გამოცემაში ეს ნაკლული ადგილები სხვა ძველი ნუსხებით შეივსო. საზოგადოდ, ხელნაწერთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ თარგმანების ტექსტი ერთგვაროვანია რედაქციული თვალსაზრისით, სხვაობები ძირითადად უმნიშვნელო ვარიანტული ხასიათისაა. წინამდებარე გამოცემაში ტექსტი ათონური ხელნაწერების მიხედვით იბეჭდება, გასწორებულია მხოლოდ გადამწერთა აშკარა შეცდომები. თხზულების დიდი მოცულობის გამო მისი მთლიანად დაბეჭდვა ერთ წიგნად არ მოხერხდა; ამჯერად ტექსტი ქვეყნდება 2 წიგნად („თარგმანებად მათეს სახარებისა“ პირველად გამოიცა 1996-98 წწ. 3 წიგნად).

ათონური ნუსხები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ დაცულია ეფთვიმის მამის ანდერძი, რომელიც ზემოთაც იყო ნახსენები. №13 ხელნაწერში, რომელიც თხზულების დასაწყისს შეიცავს, იგი წინ მიუძღვის თარგმანების ტექსტს; ანდერძი ნაკლულია (დაკარგულია მისი დასაწყისი; ამავე

დროს იგი შემოკლებულიც არის; მისი შუა ნაწილი, სადაც თხრობა ეხება ეფთვიმის მთარგმნელობით საქმიანობას, ამოლებულია). სრული სახით კი ანდერძი, სწავლათა „ზანდუკათან“ ანუ სარჩევთან ერთად, №10 ხელნაწერის ბოლოშია მოთავსებული. ჩვენს გამოცემაში ანდერძი (ზანდუკითურთ) სრული სახით თარგმანების ტექსტს წინ წავუმძღვარეთ. ამას განაპირობებს შემდეგი გარემოება: ანდერძად წოდებული ეს თხზულება განსხვავდება ჩვეულებრივი ანდერძისაგან, რომელშიც მთარგმნელი ან გადამწერი თავის ვინაობას აცნობებს მკითხველს და მისგან ლოცვასა და შენდობას ითხოვს; „თარგმანების“ ანდერძი არსებითად წარმოადგენს წინასიტყვაობას ანუ წიგნის შესავალს. იგი იწყება ღმრთისმეტყველების ძირითადი პრინციპების გადმოცემით; მასში დასაბუთებულია მათეს სახარების განმარტების საჭიროება, ჩამოთვლილია სახარების ტექსტის განმმარტებები და აღნიშნულია იოანე ოქროპირის დიდი დამსახურება ამ საქმეში. ამის შემდეგ წინასიტყვაობის ავტორი გვიამბობს, თუ როგორ განსწავლა მან თავისი შვილი ეფთვიმი მთარგმნელობით საქმიანობაში და ჩამოთვლილია ამ უკანასკნელის მიერ ნათარგმნი წიგნები. ამის მიხედვით ჩანს, რომ ამ წინასიტყვაობას ანდერძი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ; ცხადია ისიც, რომ მისი ავტორია ეფთვიმის მამა, იოვანე, რომელსაც საჭიროდ მიუჩნევია, რომ მის შვილს, უკვე სახელგანთქმულ მთარგმნელს, მამის „სიბერისა და უძლურების“ უამს, სწორედ ეს თხზულება ეთარგმნა.

ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია ათონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია „ორიონში“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ტექსტზე მუშაობდნენ ლაბორატორიის თანამშრომლები: ლილი ბასილაია, ნინო დობორჯგინიძე, დარეჯან თვალთვაძე, თინათინ კარსანიძე, მანანა მაჩხანელი, ნინო შარაშენიძე, ნანა შულლაძე, თამარ ცოფურაშვილი, თინათინ ცქიტიშვილი, მერაბ ბაბუხაძია, მარინე ოდიკაძე.

მზექალა შანიძე

ՇՈՒԱՏՈՒՄՆԱԶ

Ռոմելո-օցո օպո პորվելուտգան լմրտուսա տանա սութպյազ լմրտուսաշ, տանամռսապյածը մամուսա դա սյլուսա նմուգուսա, „պովելուզ մու մոյր օյմնա“, վուտարւա օւպյու ուուանց լմրտուսմեթպյուլու, „դա տզնուր մուսա արւա յրտո րազ օյմնա, բառդյու-րա օյմնա“.¹

Ճա եղքարո პավլու լալագեծս, վուտարմեց: „մու մոյր ճայինագա պովելու պատա մունա դա յիշյանասա նշեդա, – եոլուլոն դա արախոլուլոն, անյ տոյ սապյածնո, անյ տոյ յուլունանո, ցոնա տոյ մտարունան դա էյլմնույցնանո, – պովելու մու մոյր դա մուսա մոմարտ ճայինագա. դա օցո տաւագու արս պովելու նոնա, դա պովելուզ մու մոյր ճայմիւյցնա“.² բամետոյ մրավլուտա մուտ սախուրցիւտա տշուտա պովելուզ արարաւսացան սուրմնուտ ճաչինագա դա եոլուլուսա ամաս սույցնա նշեդա ցարժարտես սամպարու ցուսա, վուտարւա կամարա, դա մաս մունա ցանանցնա մնատոննո, բառտա ծրնիւնցույցն յիշյանասա նշեդա դա շերցուդուան կապու սայմեսա.

Եոլու կապու շեյմնա ხագուա տշուսա դա մսցավսեծա դա ճաագցունա սամռու սեսա մաս մունա սամյույնելուսասա, տշումուլունելունուտա քաթուպումյուլ-պու դա մուսւա մաս մունենա նույտա դա սայմեց տշումուլունելուսա մուսուսա, վուտարւա ներուլու օւպյու.

Եոլու ման շյուրուտա յշմայուսատա դա պուտուտա դյուդայացուսատա դա օւպուն-պու մունենա օցո մուպումյուլու մուսու դա ուլուս քամա դ եուսա մուսցան դա ամուստշու ցամռուարժա սամռուտուտ դա յյեսուրու օյմնա սույցնա ամաս մունա; դա մուրուտ-ցան յուլունեծ սույնուլու, դա ցանմրաւլու ցուուցա նատյսացտա մուրու կապ-տասա, դա պովելուզ սույցնու դա օւպուրա յուշյուլունեծան.

Եոլու յույնանաւսկնելու յամտա յյեր-իհինա մեոլունդունուլման ժյման դա սութպյաման լմրտուսաման ցեսորյենա կապուտա դա ցանիրաեցուտա մամուսատա ցարժամոյնա նշեցուտ դա յուրունու շյուսենա սյլուսացան նմուգուսա դա մարուամուսացան յալունյուլուսա դա կապ օյմնա, պովլուտուրտ մսցավս հյունդա, տշուրու ցուուցուսա, դա յյիսնա նատյսացտ կապուտա սամյույլուսա մուսցան პորվելուսա դա մոցկունդա հյուն քաթուունուտա սուսելուտա տշուսուտ դա շեցումնա դա մեորյ սամպարու սյլույյուրո, րոմել արս նմուգու յյուլուսուա, ուրուա յու-յունեսու դա յալրուսու եոլուլուսա ամուս, դա ցանանցնա մաս մունա մնատոննո ծրնիւնցալունո, մուպույյուլոն, նոնաւսնարմեթպյուլունո, մլուգուլումուլուար-նո, մոնամենո դա մամանո, րոմելու մոյր ցանանաւլունեծ նատյսացտա կապ-տասա դա ցունենատա մատտա ցյլուսչմուս-պոլյա նմուգուսա սամյուսա ալուպ-ցանեծ նոնամծլուրունուտա տշուսուսա մագլուսատա. դա րոմելնուպա շեցուգցեն մաս, շուու լմրտուսա կուոցս մատ դա մուկու նատյլսա մաս մույահրդուլու-ծյլուսա.

¹ Ոռան. 1,3. ² յուլ. 1,16-17.

და ხილული ესე სამყაროდ ცისად, ვითარცა წერილი იტყვს, წარიგრაგნოს, ვითარცა წიგნი, დღესა მას მეორედ მოსლვისასა, და ვარსკულავნი მისნი, ვითარცა ფურცელნი, დაცვენო,¹ ხოლო სულიერი ესე ცად, რომელი ქრისტემან განკაცებითა შეგვმზადა, მაშინ უმეტესად გამოაპრნებინვოს მან თავადმან და მნათობნი იგი მისნი გამოაჩინნეს ფრიად უბრნყინვალეს მზისა.

ამის სულიერისა სამყაროებსათვს იტყვოდა დავით წინაძესნარმეტყუელი სულითა, ვითარმედ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა, და დაბადებულსა ქმნულსა ჯელთა მისთასა – სამყარო“,² რამეთუ ჭეშმარიტად იქმნა ესე, ვინათგან შემდგომად ალდგომისა უბრძანა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე წმიდათა მოციქულთა, ვითარმედ: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“.³

და მერმე, დღესა მას მეერგასესა, მოუვლინა სული წმიდად და აღავსნა იგინი მადლითა და შემოსა ძალი მაღლით გამო. განვიდეს და მოიმონაფენს ყოველნი წარმართნი და მიუთხრობდეს დიდებასა ღმრთისასა და საქმეთა მათ მიუთხრობელისა განგებულებისა მისისათა, ხოლო არა სიტყვთ იღენ აღასრულეს ქადაგებად, არამედ მადლითა სულისა წმიდისათა წერითცა დაგჭტევეს საიდუმლო ცხორებისა ჩუენისად. რამეთუ აღწერეს წმიდად სახარებად ყოვლადებულთა მათ მახარებელთა, რომელთაცა უბრძანა სულმან წმიდამან აღწერად, და გუასწავლნეს დიდებულნი იგი საკურველებანი, რომელნი აღასრულნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, სოფელსა შინა რა იქცეოდა კაცთა თანა, და ყოველივე, რაო-იგი ცხოვრებისათვს ჩუენისა თავს-იდვა: ჯუარ-ცუმად და დაფლვად და ალდგომად და ზეცად ამაღლებად დიდებით და დაჯდომად მარჯუენით მამისა და დიდებული იგი მეორედ მოსლვად მისა. და ამას წმიდასა წიგნსა უწოდეს სახარებად, რამეთუ ყოვლისავე კეთილისა ხარებად წერილ არს მას შინა, ვითარცა წმიდად იოვანე ოქროპირი იტყვს. მერმე კუალად ნეტარმან პავლე და სხუათა მოციქულთა ეპისტოლებითა განამტკიცნეს მორწმუნენი და ყოველი სწავლად ღმრთისმასახურებისად მოგუცეს.

ხოლო ვინათგან აღწერილსა მას შინა მახარებელთა და მოციქულთა-სა მრავალი იყო ძნიად საცნაურ და ვიეთნიმე უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევდეს მსგავსად მათისა წარწყმედისა, ვითარცა მოციქული პეტრე იტყვს კათოლიკეთა შინა, ამისთვის შემდგომად მოციქულთა გამოაჩინნა უფალმან სხუანი მნათობნი სამყაროსა მას ეკლესისასა: წმიდანი მლდელთმოძღუარნი, მართლმადიდებელნი და მართლგამომეტყუელნი სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა, რომელთა, მსგავსად მოცემულისა მის მათდა მადლისა, განგვმარტეს ყოველივე ძნიად გულისჯმისსაყოფე-

¹ შდრ. ესაია 34,4.

² შდრ. ფსალმ. 18,2.

³ მათ. 28,19-20.

ლი წერილთად და გარდამაქცეველნი იგი ჭეშმარიტებისანი – მწვალებელ-ნი – შეაჩუქნეს და სირცხვლეულნი განიოტნეს ეკლესისაგან და განა-ნათლეს ერი მორნმუნეთად. ხოლო უფროდ ყოველთასა მიეცა მადლი იგი სწავლისად და გამოთარგმანებად წერილთად წმიდასა და ღმერთშემოსილსა იოვანე ოქროპირსა, რომელი-იგი იყო მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპო-ლისა; რამეთუ პირველ მისაცა იყვნეს მნათობნი დიდნი: წმიდად ათანასე ალექსანდრიელი და წმიდად გრიგოლ საკურველომოქმედი წეოკესარიელი და წმიდად ბასილი კესარიელ-კაბადუკიელი და წმიდად გრიგოლ ღმრთის-მეტყუელი და წმიდად გრიგოლ ნოსელი და სხუანი მსგავსნი მათნი, გარნა ვინათგან მათთა დღეთა ზე ფრიად იყო საცთური კერპომსახურთად და მწვალებელთად (არიოს და ევნომიოს და საბელიოს და მაკედონიოს და აპო-ლინარი და სხუანი მრავალნი) და წმიდანი იგი მამანი მათსა ბრძოლასა და წინააღდგომასა შექცეულ იყვნეს და მრავლითა ღუაწლითა და შრომითა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება, რამეთუ მეფეთაცა მწვალებელთა მიმართ იყო წყობად მათი, ამისთვის არა მოცალე იყვნეს იგინი თარგმანებად წერილთა, არამედ ყოველი აღნერად მათი მართლისა სარწმუნოებისათვის იყო და წინააღდგომად მწვალებელთად, თვინერ ხოლო წმიდამან ბასილი რავდენიმე თარგმანებაცა წერილთად და სწავლანი მრავალნი აღნერნა, სავსენი სიბრძნითა სულიერითა და განმანათლებელნი მორწმუნეთანი.

ხოლო ვინათგან მადლითა ღმრთისადთა და მათ წეტართა მამათა მო-ღუაწლითა არმური იგი მწვალებელთად განქარდა და მეფენი მართლმადი-დებელნი მეფობდეს და ეკლესიად დაემტკიცა სარწმუნოებასა ზედა და ქა-დაგებასა მოციქულთასა, მაშინ გამოაჩინა ღმერთმან სხუად მნათობი დიდი ეკლესისად – წმიდად იოვანე ოქროპირი – და ალავსო სოფელი სწავლითა საღმრთოდთა და ყოველნი წერილი თარგმანებითა თვისითა განგვმარტნა და ძალი სიტყუათად მათ გუასწავა. ეგრეთვე წმიდად სახარებად ჭელ-ყო თარგმანებად მადლითა სულისა წმიდისადთა, რამეთუ ესრეთ წერილ არს, ვითარმედ: დღეთა დიდისა მეფისა თევდოსისთა, ოდეს-იგი წმიდად გრი-გოლ ღმრთისმეტყუელი იყო კონსტანტინეპოლეს, ევედრა თევდოსი მე-ფე, რაღთა აღნეროს თარგმანებად წმიდისა სახარებისად, რამეთუ ხედვიდა მეფე წყაროსა მას სიბრძნისა და გულისჯის-ყოფისასა, რომელი აღმო-დიოდა პირისაგან მისისა. ერჩდა უკუე წეტარი გრიგოლ ვედრებასა მას მეფისასა და ენება ჭელ-ყოფად თარგმანებასა სახარებისასა. ხოლო დადგა ღამესა ერთსა ლოცვად, რაღთა გამოუცხადოს ღმერთმან, უკუეთუ პნებავს საქმე იგი, რამეთუ ღმერთშემოსილნი მამანი თვინერ ლოცვისა არას იქმო-დეს. და ვითარცა ილოცვიდა, ესმა მას წმად, რომელი ეტყოდა: გრიგოლ, გრიგოლ! თარგმანებად სახარებისად იოვანესდა ბრძანებულ არს ანტიო-ქელისა, რამეთუ მათ დღეთა, ოდეს გრიგოლ ღმრთისმეტყუელი მთავარე-პისკოპოს იყო კონსტანტინეპოლეს, წმიდად იოვანე ოქროპირი მთავარდია-კონი იყო ანტიოქიას. ხოლო ვითარცა ესე წმად ესმა წეტარსა მას, მიუთხრა

ჩუენებად იგი მეფესა და არღარა წელ-ყო თარგმანებად. ხოლო შემდგომად მცირედისა უამისა სავედრებელი რამე აქუნდა ერსა მას ანტიოქიისასა მეფისა მიმართ თევდოსისა, და დაწერა იგი ნეტარმან იოვანე, და მოიწია რად წიგნი იგი წინაშე მეფისა, დაუკურდა მეფესა აღნერილისა მის სიბრძნე და უჩუენა წიგნი იგი წმიდასა გრიგოლს. ხოლო მან ვითარცა წარიკითხა, ცნა სულითა და ჰრეზუა მეფესა: რომელსა ესე წიგნი დაუწერია, მეფეო, იგი არს, რომელი მაუწყა ღმერთმან, ვითარმედ პრძანებულ არს მისდა თარგმანებად სახარებისა. და ესე წინააღმდეტყუელებად მისი აღესრულა, რამეთუ ჭეშმარიტად აღწერა თარგმანებად წმიდისა სახარებისა ღმერთშემოსილმან წმიდამან იოვანე ოქროპირმან, მათეს თავისია და იოვანეს თავისია, და ამათ შინა შემოკრიბნა უმეტესი მარკოზისცა და ლუკას მიერ აღწერილი და დასხნა ეკლესიასა შინა საუნჯენი დიდაღლი, სავსენი მადლითა და სიმდიდრითა სულიერითა და წყარონი წყლისა ცხოველისანი, რომელთაგან ირწყვიან დღითი-დღე სულნი მორწმუნეთანი და გამოიღებენ წაყოფსა სათხოებისასა.

ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი – წაკლულევან, და არა ესე ოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი.

ამისთვის მე გლახავი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა იოვანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვს, რომელ ქუეყანად ქართლისად ესრეთ წაკლულევან იყო წიგნთაგან, და დიდი ხარკებად და მოღუანებად ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთემი განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად წარვპმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად, და ალიწერნეს ჩუენ მიერ სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადთა და ყოველთა წმიდათა, წიგნი, რაოდენიცა უძლეთ წერად:

- ა. პირველად თარგმანებად იოვანეს თავისა წმიდისა სახარებისად.
- ბ. მერმე სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი და მისივე თარგმანებად ფსალმუნთა. თავი ლ.
- გ. წიგნი იოანესი, რომელ არს კლემაქსი. თავი ლ.
- დ. წიგნი წმიდისა მაკარისი სრულად.
- ე. მაქსიმეს სწავლანი რიცხვთნი.
- ვ. წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.
- ზ. წიგნი წმიდისა დოროთესი.
- ც. წამებად და სასწაულნი წმიდისა მონამისა დიმიტრისი.
- თ. ცხორებად და წამებად წმიდისა სტეფანე ახლისა.

- ი. ცხორებად და წამებად წმიდისა კლემენტიოს ჰრომაელთა პაპისად.
- ია. წამებად წმიდისა კლიმი ანკურელისად.
- იბ. ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისად.
- იგ. ცხორებად წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისად და თქუმულნი მისნი.
- იდ. ცხორებად წმიდისა ბაგრატისი.
- იე. წამებად წმიდათა მინა ერმოგინეთი.
- ივ. გრიგოლ ნოსელისა თქუმულნი: შესხმად ძმისა მისისა ბასილისი და ქალულებისათვეს და წმიდისა მამაო ჩუენოვსა თარგმანი. თავი. და წმიდათა მარხვათათვეს და დიდისა მოსე წინავსწარმეტყუელისა ცხორებისა თარგმანი სახედ დაყუდებულისა, [რომელი] ძმასა ვისმე ეთხოა.
- [იზ]. იოვანე მახარებელისა ხილვად და ხილვისა თარგმანი ანდრია კესარიელისად.
- [იტ]. თქუმული იოვანე დამასკელისად ორისა ბუნებისათვეს ქრისტესისა; სხუად წმიდისა ღმრთისმშობლისა შობისათვეს.
- [იო]. ცხორებად დიდისა ათანასესი.
- [კ]. წამებად წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფიოს და კურინესი.
- [კა]. ცხორებად წმიდისა ონოფრი მძოვრისად.
- [კბ]. ცხორებად მარიამ მეგვპტელისად სრულად.
- [კგ]. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი.
- [კდ]. სწავლანი წმიდისა ეფრემისნი. თავი.
- [კე]. სარწმუნოებისათვეს.
- [კვ]. სკნაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი, და წელიწადისა ყოველთა დღეთა განგებად მას შინა.
- [კზ]. მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოვანე მახარებლისანი.
- [კჭ]. თარგმანი გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისად წმიდისა ოქროპირისად.
- კთ. დასდებელნი მარხვათანი სრულად და სხუათა მრავალთა წმიდათა გალობანი.
- ლ. წამებად წმიდისა და ყოვლადქებულისა მოწამისა პროკოპისი.
- ხოლო ან, უამსა სიბერისა და უძლურებისა ჩემისასა, წარვპმართე შვილი ჩემი ეფთემე და ვიხარკე, რაღთა თარგმანებადცა მათეს თავისად წმიდისა სახარებისად დაწეროს ენასა ჩუენსა, რომელი-იგი სიმრავლისათვეს შრომისა აქამომდე არა დაგუეწერა, რამეთუ, ვითარცა ხედავთ, დიდი წიგნი არს, ძნელი გამოსათარგმანებელად ბერძულითგან. გარნა შეწევნამან ღმრთისამან და მეოხებამან წმიდისა ღმრთისმშობელისამან, წმიდათა მოციქულთა და მღდელთმოძლუართამან და ყოველთა წმიდათამან ყოვანმარჯუებად, და აღესრულა დაუკლებელად წმიდად ესე წიგნი, რომელი უშეუნიერეს არს ყოველთა წიგნთა, რამეთუ სავსე არს ყოვლითა მოძღუ-

რებითა სალმრთოდთა და ყოვლითა სწავლითა სულიერითა, და არა არს იგი კეთილი საქმე, რომელი ამას შინა არა იპოების, რამეთუ ჭეშმარიტად სული წმიდად იყო მეტყუელ პირითა წმიდისა მის და ღმერთშემოსილისა იოვანე ოქროპირისადთა.

ხოლო ვინავთგან წმიდასა მას მამასა ჩუღნისა იოვანე ოქროპირსა ეს-რეთ აქუნდა ჩუღულებად, რაღოთამცა წარმოთქუა თარგმანებად სახარებისად მყორ უამ და მერმე აღსასრულსა ზედა სწავლასა წარმოიტყოდა, ამისთვის ძალი თითოეულისა სწავლისად აქა დაგვწერია, რაღოთა რომელსაცა ვინ ეძიებდეს, ადვილად პოოს, რამეთუ ესრეთ არს ბერძულთაცა წიგნთა შინა:

- ა. სწავლად კრძალულებით სმენისათვის სალმრთოთა სიტყუათა.
- ბ. გულსმოდგინედ წურთისათვის წერილთადსა.
- გ. სიმდაბლისათვის.
- დ. ვითარმედ უწმს ქრისტეანესა საქმეთაცა კეთილთა მოგებად.
- ე. ვითარმედ არა ჯერ-არს სხუათა სათნოებისა მინდობად, არამედ თავით თვისით მოღუანებად; და მოვახშეთათვის.
- ვ. ვითარმედ კეთილ არს სალმრთო იგი გლოვად და ბოროტ არს სიცილი, და ფრიად მავნებელ არს ხედვად თეატრონთა და სახიობათად.
- ზ. კრძალულებით ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთადსა და მოწყალებისათვის და სივლტოლისათვის სახიობათაგან.
- ც. ცხორებისათვის მონაზონთადსა.
- თ. ვეცხლისმოყუარებისათვის.
- [ი]. სინანულისათვის ცოდვათადსა და ლოცვისათვის.
- [ია]. საუკუნოებისა მის სასჯელისათვის.
- [იბ]. ვითარმედ ქრისტეანემან უკუეთუ არა აჩუენოს მოქალაქობად სათნოო, უმეტესად იტანჯოს.
- [იგ]. რაღოთა არა პირსა მეტყუელთასა ვხედვიდეთ, არამედ სიტყუათა მათთა გულისქმა-ვჰყოფდეთ; და სასუფეველისათვის და სატანჯველთა მათთვის მერმეთა.
- [იდ]. ვითარმედ ჯერ-არს მარადის წსენებად ცოდვათა ჩუენთად და ვედრებად ღმრთისად, რაღოთა შეგვნდოს; და საუკუნოებისა მისთვის სასჯელისა.
- [იე]. სათნოდ ღმრთისა მოქალაქობისათვის.
- [ივ]. რაღოთა მოსწრაფე ვიყვნეთ დამარხვად მცნებათა ქრისტესთა.
- [იზ]. ფიცისათვის.
- [იც]. რაღოთა მსწრაფლ დავეგებვოდით და შეუნდობდეთ ურთიერთას ყოველსა ბრალსა.
- [ით]. ძკრუნსენებლობისათვის და წესიერად დგომისათვის ეკლესიასა შინა.
- კ. ვეცხლისმოყუარებისათვის.
- კა. მოწყალებისათვის.

კბ. რაღთა სურვიელ ვიყვნეთ კეთილთა საქმეთა მიმართ და მოუწყინებელად ვევედრებოდით ღმერთსა პოვნად წყალობისა.

კგ. ვითარმედ უმძიმეს ჯოჯოხეთისა არს გამოვრდომად იგი სასუფეველისაგან, და ვითარმედ კეთილნი საქმენი უაღრესად ბრნყინვალე-ჰეროფენ კაცსა, ვიდრელა დიდებად სოფლისად.

კდ. ვითარმედ მოქმედი სათხოებისად მარადის უშიშ არს, ხოლო ცოდვასა შინა მყოფსა ყოვლისაგანვე ეშინის.

კე. ვითარმედ ჯერ-არს მარადის მადლობად ღმრთისად.

კვ. ვითარმედ არა უწმს მდგომარესა ვიდრე ალსასრულამდე მინდობად თავისა თვისისად, არცა რომელი დაეცეს, უწმს სასოწარკუეთილებად.

კზ. ვითარმედ ცოდვასა შინა მყოფნი არარად განყოფილ არიან მკუდართაგან.

კჴ. ვითარმედ კაცი უფლებული ცოდვისაგან არარადთ განყოფილ არს ეშმაკეულისაგან.

კთ. ვითარმედ სიმშედით ჯერ-არს მხილებად და განმართებად ცოდვილთად.

ლ. წმიდათა მოციქულთა და წმიდათა მოწამეთათვს.

ლა. ვითარმედ არა ჯერ-არს უზომოდ გლოვად მიცვალებულთათვს, არამედ ლოცვად მათვეს და უამისწირვად.

ლბ. ვითარმედ ანცა წესი მოციქულთად უპყრიეს წინამძღვართა ეკლესიისათა, და სათხოებად უაღრეს არს სასწაულთა.

ლგ. მოთმინებისათვეს განსაცდელთავსა და სახე იობისაგან.

ლდ. ვითარმედ ჯეროვნად განგებულ არს ხრწნილებად ესე გუამთა ჩუენთა, რამეთუ უკუეთუმცა ესე არა ესრეთ იყო, მრავალიმცა უჯეროებად იქმნა სოფელსა შინა.

ლე. მოწყალებისათვს.

ლვ. სიმშედისათვს, და რაღთა მოსწრაფე ვიყვნეთ ძლევად ვნებათა.

ლზ. რაღთა გუეშინოდის საუკუნოდასა სასჯელისაგან.

ლჲ. ვითარმედ უღელი სიმართლისად სუბუქ არს და მცირე, ხოლო ცოდვისად – მძიმე და ბოროტ.

ლთ. ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტი დღესასწაულობად: განშორება ბოროტაგან და ქმნად სათხოებისად.

მ. შურისათვს.

მა. წენებისათვს ცოდვათა ჩუენთავსა და სინანულისათვს.

მბ. რაღთა ვიღუანოთ არა ვნებად, არცა ძვრის-ზრახვად მოყუასთა, არამედ თავთა თვისთა განვიკითხვიდეთ.

მგ. შიშისათვს საუკუნეთა სატანჯველთავსა.

მდ. რაღთა მოსწრაფე ვიყვნეთ ყოველთა სათხოებათა მოგებად და სივლტოლად შუებისაგან.

მე. ვითარმედ ქველისსაქმე და ჭირვეულთა წყალობად ქრისტესა მი-
ნენების.

მვ. ვითარმედ სათნოებად უაღრეს არს ყოვლისა, რამეთუ უმეტეს მის-
გან განბრნებინდეს წმიდანი.

მზ. გულისჯის-ყოფისათვეს წერილთადასა და სათნოებათათვეს.

მც. პატიოსნისა მის თავისისათვეს ნათლისმცემელისა; და რადთა ვივ-
ლტოდით მემღერთაგან და მსახიობელთა.

მთ. რადთა სულიერნი საქმენი გუაქუნდენ შინაგანად და წორციელნი
– გარეწარად.

6. წმიდათა საიდუმლოთათვეს და მოწყალებისათვეს.

ნა. თუ ვითარ შეიგინების სული ანუ ვითარ განწმდების; და ვითარმედ
დიდისა სასყიდლისა მომატყუებელ გუექმნებიან მაჭირვებელნი ჩუენი.

ნბ. მოწყალებისათვეს.

ნგ. ვითარმედ არა ჯერ-არს შიში შეცვალებისათვეს საქმეთა ამის ცხო-
რებისათა, არამედ ესე ხოლო შეკრძალვად, რადთა სათნოებად შეუცვალე-
ბელად გუაქუნდეს.

ნდ. რადთა ვიქადოდით ჯუარ-ცუმისათვეს ქრისტესისა და საცოდ ჩუენ-
და გუაქუნდეს ჯუარი წმიდად მისი; და სახიერებისათვეს უფლისა.

ნე. ქებად მონაზონთა, რომელნი მარადის გლოასა შინა არიან და წსე-
ნებასა საუკუნოება სასჯელისასა.

ნვ. მეორედ მოსლვისათვეს და ვახშისათვეს.

ნზ. მარტვისა და ლოცვისათვეს.

ნც. ამპარტავნებისათვეს.

ნთ. ვითარმედ ჯერ-არს ფრიადი მოღუაწებად ცხორებისათვეს ძმათადსა.

ნ. სიყუარულისათვეს ჭეშმარიტისა.

ნა. ძკრის-ჯენებისათვეს.

ნბ. უმანკოებისათვეს და ძკრუქსენებლობისათვეს.

ნგ. ვეცხლისმოყუარებისათვეს.

ნდ. ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა ყოველთავე სათნოებათა მოგება.

ნე. სიმდაბლისათვეს და ამპარტავანებისა.

ნვ. საღმრთოება მოქალაქობისათვეს.

ნზ. სინანულისათვეს.

ნც. ცხორებისათვეს მონაზონთადსა, ვითარმედ პატიოსან არს და უმ-
ჯობეს სოფლიოება მის წარმავალისა.

ნთ. მერმისა მისთვეს სასჯელისა; და რადთა მოვიგოთ ზრუნვად სულთა
ჩუენთა.

ნ. ცხორებისათვეს მონაზონთადსა და მათისა მის მწედრობისათვეს.

ნა. ზუაობისა და მაჩუენებლობისათვეს.

ნბ. სიმდაბლისათვეს და ცხორებისათვეს მონაზონთადსა.

ნგ. ბრალობად მათი, რომელნი ამკობენ გუამთა მათთა და სულსა

უგულებელს-ჰიმოფენ; და რათა არა განვიცდიდეთ ქმნულკეთილობასა პირისასა.

ოდ. რათა ვისწრაფოთ აქავე კურნებად წყლულებასა სულთა ჩუენ-თასა.

ოე. მათდა მიმართ, რომელი იტყვან, თუ შობასა კაცისასა ანუ ვარ-სკულავთა ქცევასა შეუდგან საქმენი სოფლისანი.

ოვ. დღისა მისთვის საშინელისა; და ვითარმედ მრავალნი მცირედისა და უნდოხსა შრომისათვის დააკლდებიან კეთილთა მათ საუკუნეთა.

ოზ. მოწყალებისათვის და ძმათმოყუარებისა.

ომ. სიყუარულისათვის და სიმშედისა.

ოთ. საშინელისა მისთვის სასჯელისა.

პ. ვეცხლისმოყუარებისათვის და ძრის-ჯსენებისა.

პა. ძკრუზსენებლობისათვის.

პბ. ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთადსა.

პგ. ანგაპრებისათვის.

პდ. ძკრუზსენებლობისათვის.

პე. რათა ვპბაძვიდეთ სიმშედესა და ძკრუზსენებლობასა ქრისტესა, რომელმან ყოველივე დუმილით თავს-იდვა.

პვ. რათა არა უგულებელს-გვყოფდეთ მცირედთა ცოდვათა, რამეთუ მარადის ეშმაკი მცირეთაგან იწყებს ბრძოლად ჩუენდა და ესრეთ დიდთა ცოდვათა შთაგუაგდებს.

პზ. რათა განვეშორნეთ ყოვლისავე ბოროტისაგან და ვიქმოდეთ კე-თილსა.

პც. მოწყალებისათვის.

პთ. მადლობისათვის ღმრთისა და სიყუარულისათვის მისისა.

ჟ. სინანულისათვის და კეთილად მოქალაქობისა და უპოვარებისა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და მარადის და უკუნი-თი უკუნისამდე, ამენ.

ან გვეფრეზით ყოველთა, რომელთა მიიწიოს ესე წიგნი, რომელთაზ ალსეროთ და რომელნივა იყითხვიდეთ და რომელნივა ისმენდეთ, ჭე-ნებულმერა ვართ ლორწოთა შინა თქუებითა გლაბაცი ესე იოვანე შვილი-სა ჩემისა ეფოუმეს თანა, რათა ლორწოთა თქუებითა შეგვენყალნეს ჩუენ უფალმან, რამეთუ ჟერმჩინერელი წყალობისად ასს, რათა თქუები სასყი-ფელი მიიღოთ ლმრთისაგან ჭენებისათვის ჩუენისა. პც, გვეფრეზით, ლორ-ვითა მოგვკენენით.

ქრისტე, აკურთხე და გაუსუენე სულსა მამისა იოვანესა და აკურთხე მამად ჩუენი ევთვემე, შემდგომად ლმრთისა ამათ სულთა წხორეზისა მომწე-მელნი ქართველთა ნათესავსა, და გარდაიჭადე შრომისა მათისათვის.